„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 4 (248) 27 აპრილი, ოთხშაბათი, 2016 წელი; ფასი 1 ლ.

## ვედრება: უფალო იესო, აარიდე საქართველოს მტრობა, ნგრევა, უსამართლობა,სიღარიბე.

ღმერთი ზეციდან დედამიწაზე დამდაბლდა, რათა ზეცად აეყვანა ადამიანი.

ქრისტე ეწამა ჩვენთვის და ჩვენ ვეწამოთ ქრისტესთვის.

„მე ვდებ ჩემს სიცოცხლეს, რათა ხელახლა მივიღო იგი"




### სიცოცხლის, სულის მარადიულობის ზეიმი

აღდგომა უფლისა ყოველ წელს თითქოს ახალი ძალით შემოდის და რწმენის კედელს ცამდე ამაღლებს. სულის მარადიულობის იდეა კაცთა მოდგმას დღემდე აფიქრებს, თვით ღვთიური სიმაღლეც ამ განზომილებაში მოიაზრება. ღმერთმა ადამიანური გადასახედიდან მარადიულობის, აღდგომის მართლაც უხილავ პერიპეტიებში გვატარა და მარტივი კატეგორიებით გვამცნო, რომ არსებობს ღმერთი, არსებობს ძე ღვთისა და სული წმინდა, არსებობს მარადიული სასუფეველი, რომლის კარებს ბრმად, რწმენის ღვთიური გზის გარეშე ვერ მიადგები.

ღმერთი სიცოცხლე და სიყვარულია და რაოდენ სასიხარულოა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიუბრუნდა ეკლესიურ ცხოვრებას-ქრისტიანობას. ქართველებისთვის იგი მარტო რელიგია არ არის, მისი სულიერების თუ ყოფიერების არსია, ბუნებით შესისხლხორცებული, ამიტომაც სრულიად განსხვავებულად ჟღერს ჩვენთვის – ქრისტე აღსდგა-ჭეშმარიტად!

დაე, ჩვენი ერის აღდგომის, სულიერი გაერთიანების ნიშანიც ყოფილიყოს წლევანდელი აღდგომა

ზ. ნარაძე

დინების მიმართულებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან

ტრადიციული დღესასაული ფოთში

*საქართველოს გზა არის ქრისტეს გზა,*
*გზა ჭეშმარიტებისა და აღდგომისა*

## ზვიად გამსახურდიას დაბადების და საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დღე-31 მარტი -ეპოქალური ნიშანსვეტი

დრო მკაცრი გამომცდელია და ნათლად აჩვენს ავსა და კარგს, მტერს და მოყვარეს, მედროვეს და მარადიულს. დრო საკმარისია საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოწამეობრივი, სიცოცხლისა და ეროვნული ღვაწლის შესაფასებლად. მან ეპოქას გაუსწრო და დაგვანახა ანტიეროვნული ძალების, ვაიქართველების, გადაგვარებული კოსმოპოლიტების ნამდვილი სახე. იგი საქართველოს რაინდული წარსულიდან მოდიოდა, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახიდან, სიქველის, სიკეთის, ულალატობის, ქრისტიანული მიმტევლებლობის, ყველა ქართული ღირსების მატარებელი, ზნემაღალი და სპეტაკი კაცი, რომელსაც უნდა გაეღვიძებინა მიძინებული ქართული ცნობიერება და განესაზღვრა ერის მისია, რაც ერს აკისრია დედამიწაზე, რამეთუ ის არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, რომელმაც სულიწმინდა მოუვლენია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ღვთისმშობლის მისიას კაცობრიობის განწმენდისა.

იმ დღეს ვ. გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი მაყურებელს ვერ იტევდა. აქ მოვიდნენ ეროვნული სულისკვეთების ადამიანები, მათი უმრავლესობა ეროვნული მოძრაობის 80-იანი დაუვიწყარი წლების უშუალო მონაწილეა, ბევრიც ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლია, ბოლომდე გვერდში მდგომი. ამათ სამშობლოს სიყვარული აერთიანებდათ და ეს იდეური სიმტკიცე ბოლომდე გაჰყვა ეროვნულ მოძრაობას, რომელიც არ

გაგრძელება მე-2 გვ

## 2 მაისი ხსოვნის დღეა

სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ როცა კვდება,

**სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება.**

**ვინც პატივს არ მიაგებს წინაპართა საფლავებს, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა.**

*ვინც რწმენისათვის ცოცხლობს-უკვდავია!*

კოალიციური კონგლომერატი დაიშალა

მე-3 გვ




საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ,,ექსპო-ჯორჯია"

მე-7 გვ

ფოთში საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა მაისში დაიწყება

მე-7გვ

დინების მიმართულებას მკვდარი თევზები მიყვებიან

ტრადიციული დღესასწაული ფოთში

*საქართველოს გზა არის ქრისტეს გზა,*
*გზა ჯვარცმისა და აღდგომისა*

# ზვიად გამსახურდიას დაბადების და საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დღე-31 მარტი -ეპოქალური ნიშანსვეტი

(I გვერდიდან)



შეიძლება ერთი პარტიის ჩარჩოებში მოექცეს, სხვათაშორის ასეთი ერთიანობა, იდეურობა და სიმტკიცე აკლია ახალ პარტიებს, არადა ,,სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა”.

ბრწყინვალედ გაფორმებული სცენა, დახვეწილი რეჟისურა, თეატრის მსახიობების მთელი დასი.

საქართველოს ჰიმნის, დროშის ფონზე იხსნება ფარდა და ანსამბლი ,,ფაზისი” იროდი ტიკარაძის ხელმძღვანელობით ასრულებს უკვდავ სიმღერას ,,ჩემო კარგო ქვეყანავ”.

ღონისძიების წამყვანს გია სურმავას ეროვნული მოძღაობის სათავეებთან მივყავართ.

ეკრანზე ცოცხლდება მიტინგის კადრები.

ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, მუხრან მაჭავარიანს, შოთა ნიშნიანიძეს და სხვათა ლექსებს მაღალმხატვრულად, უდიდესი მონდომებით კითხულობდნენ რეჟისორი რობერტ ნადარაია, მსახიობები გიორგი იოსავა, პაატა მურვანიძე, ლევან მიქავა.

ეკრანზეა კოლხური კოშკი, სულიერების ეს უდიდესი ციტადელი,- არეალი მე-20 საუკუნის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირეული ქრონიკებისა.

აქ, 1939 წლის 31 მარტს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში დაიბადა და აღიზარდა **ზვიად გამსახურდია**. მამის პიროვნებამ წარუშლელი კვალი დატოვა არამარტო ზვიადის, არამედ ყველა იმ ადამიანის წარმოსახვაში ვინც ,,კოლხურ-კოშკს” სტუმრობდა. კონსტანტინე ბატონის გავლენით ზვიადი, მიუხედავად ევროპული განსწავლულობისა, კავკასიურ ტრადიციებზე აღზრდილ პიროვნებად ჩამოყალიბდა. ზვიადი ღრმად იყო ჩახედული კავკასიის ეთნოგრაფიულ სამყაროში, ამიტომაც საქართველოშიც და ამიერკავკასიაშიც ზვიადი და საქართველო აღიქმება, როგორც სიმბოლო კავკასიის სრული თავისუფლებისა და ერთობისა.

1956 წელი, 9 მარტი,

სახალხო მღელვარება, რომლის ინდიკატორი გახდა სტალინის კულტთან კრემლის ახალი ხელმძღვანელობის დაპირისპირება. ქართველმა მწერლებმა და ახალგაზრდებმა დაგმეს მღელვარების ჩახშობა - უნგრეთსა და პოლონეთში და საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვეს, მათ შორის იყვნენ სკოლის მოსწავლეები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვები. ამას მათი დაპატიმრება მოჰყვა და შემდეგ... შემდეგ ახალგაზრდული ასაკის გათვალისწინებით ისინი გაანთავისუფლეს.

ნიშანდობლივია, რომ 80-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობა არა ქუჩაში, არამედ ეკლესიაში დაიწყო, როცა მთავარი შესაკრებელი თბილისის სიონის ტაძარი გახდა, ხოლო პირველი ორგანიზებული მიტინგიც 1988 წლის 22 სექტემბერს საეკლესიო სიწმინდეთა, კულტურის ძეგლთა (კერძოდ, დავით-გარეჯის) დაცვას მიეძღვნა.

,,ქართველ ხალხსა და ქართულ კულტურას ერთ რამეში ჰქონიათ ბედი. ჩვენ ორიათასი წლის განმავლობაში ვიდექით ხმლით, ჯვრითა და კალმით აღჭურვილნი ევროპასა და აზიის კულტურათა ურთიერთთან შეხლის სამანებზე”- აღნიშნავდა კონსტანტინე გამსახურდია, რადგან ჩვენს ერს ხშირად უხდებოდა ცხოვრება დამპყრობელთა უღელქვეშ და ასეთ პირობებში ორად-ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას-ქრისტიანული რელიგია და მწერლობა.

ეს ტრადიცია დაიწყო შუშანიკისა და აბოს წამებით, სულხან-საბასა და გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით. შემდეგში კი გაგრძელდა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და სხვათა ნაშრომებში.

ღონისძიებას ლაიტმოტივად გასდევდა აფხაზური ტკივილი-საინტერესო ვიდეოკადრები, სიმღერა, ცეკვა...

ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო,

ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ.

აფხაზურ სიმღერას ბრწყინვალედ მღერის ანსამბლი ,,ფაზისი”.

ამაღელვებელი იყო სცენები-ფოთი ეროვნული მოძრაობის სათავეებთან.

ფოთის თეატრის სცენაზე 1989 წელს აპრილის თვეში შესდგა რეჟისორ ოთარ ცერაძის სპექტაკლის ,,1832 წელი” პრემიერა.

ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს 1832 და 1989 წლები-ეროვნული დრამატიზმით. ფეხზე მდგარი დარბაზი ტაშს არ სწყვეტდა, ითხოვდა სპექტაკლის გამეორებას. შალვა ლიპარტელიანმა, პირველად სცენაზე გამოიტანა წმინდა ნინოს ჯვარი, მსახიობებმა ბიძინა მიქაუტაძემ, ნოდარ მახარაძემ და სხვებმა სცენაზე გაშალეს თამარიანის დროშა, ასე დაიწყო ქალაქ ფოთში ეროვნული სულის აღმავლობის ახალი პერიოდი.

სცენა დარბაზში არ მთავრდებოდა. ის ინაცვლებდა გარეთ, კოლხი დედის წინ, მოედანზე. სპექტაკლის პრემიერას 9 აპრილიც დაემთხვა.

ღმერთო, დიდებულო, სცენა და მოედანი გამთლიანდა”.

არსებობს ისეთი დღეები, როდესაც დროის მცირე მონაკვეთმა, შესაძლოა დაიტიოს მთელი ეპოქა, სწორედ ასეთი დღეა 9 აპრილი. ამ დღეს ქართველმა ხალხმა შიში დათრგუნა და მონურ ყოფას ზურგი აქცია, შეიძლება ითქვას, ეს ქმედება იყო დიდგორის, შამქორის მარაბდის ველებზე გამოჩენილი გმირობის ფარდი.

სცენაზე ისმის სიმღერა ,,ჰერიო ბიჭებო”.

1989 წელი, ოქტომბრის ბორითის ტრაგედია-დაიღუპა მერაბ კოსტავა.

მერაბ კოსტავას, როგორც მამულიშვილს და ეროვნულ მოღვაწეს ქართველი ხალხის წინაშე წარსდგენა ნამდვილად არ სჭირდება, მას იცნობენ აგრეთვე, როგორც ნიჭიერ მუსიკათმცოდნეს, თეტრალურ კრიტიკოსს, პოეტსა და ესსეისტს.

,, ერზე მჭუნვარედ ძმათა კრებული

ერი საფიცარ რაინდს გიწოდებს,

უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული სასუფეველში შეხვალ იცოდე”.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლამ თვისობრივად ახალი ხასიათი მიიღო.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ გამოიყენა რა 1921 წელს ემიგრაციაში იძულებით წასული მთავრობის მიერ დაკავებული სწორი იურიდიული პოზიცია, მშვიდობიანი ბრძოლის ფორმების გამოყენებით აიძულა მმართველი კომუნისტური რეჟიმი, თავისივე არსებული კანონების დაცვით, თავისი თავი ფაქტობრივად უკანონოდ გამოეცხადებინა. ყოველივე აღნიშნული გახლდა სამართლებრივი და იურიდიული საფუძველი საქართველოში ახალი კანონიერი მრავალპარტიული არჩევნებისა.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები.

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული სახალხო მკურნალი, (ასე უწოდებდნენ მას ფოთელები) **თენგიზ ნესტორის ძე ბარამიძე** ბავშობიდანვე გამსახურდიების ოჯახთან სიალოვემ თავისთავად ჩააყენა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე რიგებში.

უკვე ცნობილი ექიმი, უზარმაზარი ავტორიტეტის წყალობით აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად და შემდგომში დანიშნეს ფოთის პრეფექტად. მის მოადგილეებად კი- **როსტევან გვარამია** და **გიგლა ბახტაძე,** რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც ზვიად გამსასხურდიას თანამებრძოლებმა.

ფოთელები ასევე დიდი სიყვარულით იხსენებენ იმ დღეებს, როცა აირჩიეს ადგილობრივი საკრებულო, რომელმაც მის თავმჯდომარედ **თამაზ პაჭკორია** აირჩია.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1989 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

ამორჩეულთა სრული რაოდენობა შეადგენდა - 3. 657. 47 ადამიანს.



რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო - 3. 302. 572 (90,3%).

საკითხის დადებითად გადაწყვეტის მომხრე (პასუხი ,,დიახ”) 3. 266.265, რაც შეადგენს რეფერენდუმის მონწილეთა 98,9%-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 89,3%-ს.

ამრიგად ნათელია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთელმა მოსახლეობამ, როგორც ქართველმა, ისე არაქართველმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ზვიად გამსახურდიას ლექსზე პირველად საქართველოში სიმღერა შეიქმნა ჩვენს ქალაქში. ,,ვედრება უფლისადმი”, პოეტის ეს საოცარი


საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

ლექსი ჰანგად აქცია ჩვენმა თანაქალაქელმა, უსათნოესმა ქალბატონმა, კომპოზიტორმა **ლეილა ლოლუამ**, სიმღერას კი შეასრულებს ყველასათვის ნაცნობი, საყვარელი პედაგოგი, მომღერალი **ნანი გუგუშვილი**. დარბაზი ფეხზე დაუდგა ქალბატონებს.

1991 წლის 9 აპრილს 12:30 მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. სწორედ 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, მოხდა სხვა ქვეყნების მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება.

9 აპრილს დანთხეულმა სისხლმა და უფალმა მოგვივლინა ეს ცრემლნარევი დღე სიხარულისა, ასეთი იყო საქართველოს ისტორია, ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისაკენ, საღვთო სიყვარულისაკენ.

ღონისძიების დასასრულს სიტყვით გამოვიდა სამეგრელო -ზემოსვანეთის აპარატის უფროსი, მწერალი **ლაშა გვასალია**, რომელმაც გაიხსენა ზვიად გამსახურდიასთამნ გატარებული წლები, ისაუბრა მის ეროვნულ ღვაწლსა და შემოქმედებაზე.

სადღესასწაულო ღონისძიებას ესწრებოდნენ პარლამენტარი **სოსო დანელია**, ქალაქის ხელმძღვანელები, სტუმრები სხვადასხვა რეგიონებიდან.

აღსანიშნავია, რომ კულტურის სამსახურმა -(**ნინო პაჭკორია**) სრულიად ახლებურად რეჟისორული და თემატური თვალსაზრისით წარუდგინა ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა..

განსაკუთრებით ხაზგასასმელია **გიგლა თურქიას, იროდი ტიკარაძის, კესო კალანდარიშვილი, ნანუკა ღურჯიას, გვანცა მხეიძის** და მთლიანად ამ სამსახურის, თეატრის დასის (**თენგიზ ხუხიას**) მონდომება, იმედია, ურთიერთ თანადგომის, ახალი ინიციატივებით, ქართული კულტურის წარმოჩენით ფოთის საერთაშორისო რანგის ღონისძიებასაც უმასპინძლებს და დაიბრუნებს რეგიონის კულტურული ცენტრის ფუნქციას.

ზ. ნარაძე

### პირველი არჩევნები, როცა არავინაა ჩამოსაგდები...

## კოჰაბიტაციურ - კოალიციური კონგლომერატი დაიშალა - ამ პარტიებმა ,,ოცნება" გამოიყენეს... მიატოვეს...

# ,,ოცნების" და ქვეყნის გამარჯვების გზა ეროვნული ძალების გაერთიანებაზე გადის



კოალიციის შექმნის აუცილებლობა, მიზნები და ამოცანები მრავალმხრივ გაანალიზებას მოითხოვს და ამის საშუალებას იძლევა განვლილი თითქმის ოთხი პოლიტიკური მმართველობითი წელიწადი. წინა არჩევნებიც რევოლუციურ ეიფორიულ ფონზე ჩატარდა და მიზანი იყო ,,ნაცების" როგორც რეჟიმის დამხობა, თითქოს პარტიული ინტერესები უკანა პლანზე უნდა გადასულიყო, მაგრამ თანამდებობის, სკამის მიზიდულობა დაუძლეველი აღმოჩნდა, ,,ოცნებას" მიტმასნილმა პოლიტიკოსებმა საკუთარ თავს მეტი სამსახური გაუწიეს - ვიდრე ქვეყანას. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ გარეშე ძალებს თავის გეგმა ჰქონდა ამ საარჩევნო კამპანიაში, -,,ნაცების" გადარჩენა, კოჰაბიტაცია და სატელიტი პარტიის რესპუბლიკელების წინ წამოწევა დემოკრატიულობისა და ინტელექტუალობის საბაბით, არადა, რომ არა კოალიცია, იგი საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავდა. მოკლედ, სარჩევნო ბატალიებთან ამერიკელები იდგნენ და დღესაც მიუწვდებათ ხელი მასზე, ინდიაის კვლევის შედეგები ისევ ოცნება-ნაცების პირველობას გვაჩვევს, თუ ეს უკანასკნელი პირველ ადგილზე არ გაიყვანა არჩევნებამდე დარჩენილ დროში ამ მართლაც პიარკვლევამ.



,,ოცნების" რეიტინგის ვარდნა კოალიციის წევრი პარტიების კისერზეა, რომელთაც საქვეყნო საქმეებით დიდად არ შეუწუხებიათ თავი, პირიქით, შუალედურ არჩევნების გაყალბებით, ერთსქესიანთა ქორწინებაზე თავგამოდებით, მართლმადიდებლობაზე შეტევით ხალხს შეაძულეს თავი, მერედა რა წააგეს - 4 წელი გაიტანეს, პირად საქმეებს მოახმარეს, სული მოითქვეს ფინანსურად (გუბაზსანიკიძე აკი მილიონებს ნატრობდა) ბევრი ,,ცნობილი სახის" ხმა პარლამენტში არავის გაუგია, ისე მიილია საარჩევნო პერიოდი. შემდეგ 6-7 თვით ადრე მეტად გადაღლილებმა კოალიციის დატოვება გადაწყვიტეს, თუმცა, თანამდებობებს, მინისტრების სავარძლებს ვერ შეელივნენ და ასე ჩატოვეს ,,ოცნება" უმრავლესობიდან უმცირესობაში. მოკლედ, მართლაც კურიოზების ქვეყანა ვართ. მოვიდნენ ხელიხელჩაკიდებულნი, თითქოს ერთ ფერხულში, გამოიყენეს პოლიტიკური ვითარება, ივანიშვილიც და მისი ოცნებაც და მერე ხელი შეახოცეს, ჩვენ აღარ ვართ ,,ოცნებაშიო", არც არაფერში მიგვიძღვის ბრალიო და ასე გაექცნენ საერთო პასუხისმგებლობას, ,,ოცნებისთვის" იქნება უკეთესი ამ პარტიულ ბალასტის ჩამოცილება,(ან სულაც ,,ონებისგან" მოდის ეს განცალკევება, ანუ სამუდამოდ ჩამოსორება). ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ,,ნაციონალების" ხელშემშლელი ფაქტორიც არ იყო უმნიშვნელო, ისინი ხომ ფაქტიურად ფლობენ ქვეყნის ქონებას, დიდძალ ფინანსებს, მედიასაშუალებებს, აგრძელებენ ქვეყნის მტრობას და ნგრევას. სწორედ ,,ოცნების" შეცდომაც ეს იყო, კოჰაბიტაცია, სამართლიანობის აღდგენის უგულველყოფა და ამათი პარპაში. ლამის ყველა უბედურება ,,ოცნებას" გადააბრალონ. თვით ფარული გადაღებებიც. თუმცა, ამერიკული ინტერესებიც გასათვალისწინებელია. მათ ხომ საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს სააკაშვილის რეჟიმის შესანარჩუნებლად, რომელიც ზედმეტადაც ახერხებდა ოკეანის გაღმელთა დავალების შესრულებას, ეროვნული ფენომენის, ეკონომიკის მოსპობით, რუსეთის მტრობით, პატრიოტიზმის ნიღბით, ომით, რის სანაცვლოდ მილიონები მიიღეს. საქართველო დაიცალა ქართველებისგან, განსაკუთრებით ქალები- ახალგაზრდები წავიდნენ საზღვარგარეთ, რათა გადაარჩინონ აქ დარჩენილები, ყველამ ვიცით როგორ სრულდებოდა ბიუჯეტი-რეკეტით, დაჭერებით, რასაც ახალ ხელისუფლებას ვერ დასწამებ, და ისიც გასარკვევია, ამ ბანდიტური მეთოდების გარეშე როგორ ახერხებს საბიუჯეტო თანხების თავმოყრას წინა რეჟიმის დონეზე.

მალე შედგება პოლიტიკურ-პარტიულ ამომრჩეველთა ომი, იმდენი მთავარსარდალი გვყავს, ამდენი თანამდებობა და სკამი, როგორ გინდა მოიძიო, მაგრამ ბრძოლას მაინც აქვს აზრი. ისე ორასი პარტიის ნაცვლად 2-3 პარტია ჩამოგვეყალიბებინა, ნიჭიერი ადამიანებისათვის მოგვეყარა თავი, ქვეყნისთვისაც აჯობებდა და მათთვისაც, ამ სიმრავლის მიუხედავად ქვეყანა ხომ ერთია თავისი სატკივარით და საწუხარით, აწმყოთი და მომავალით. წელს პირველად ჩატარდება არჩევნები მშვიდ გარემოში, როცა არავინაა ჩამოსაგდები და რევოლუციური მღელვარებაც მინელდა, რაც იმის ერთგვარი გარანტიაა, რომ უნდა დამთვრდეს ქუჩიდან მოსული ადამიანების დრო და პოლიტიკაში მოვიდნენ პატრიოტები, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ადამიანები, პროფესიონალი კადრები-ეკონომისტები, იურისტები, ფინანსისტები.




დღეს ძნელია დააჯერო ხალხი რომ მისი ბედნიერება დემოკრატიაზე-მის ძალაუფლებაზე-არჩევნებზე გადის. ამის უკან დგას მრავალგზის გაწამებული ხალხი. მრავალგზის იმედგაცრუებული, იმედდაკარგული, იმედის დაბრუნება დიდი საქმეა, როცა სახელმწიფო და ხელისუფლება ადამიანს რწმენას დაუბრუნებს, რომ მასზე ვიღაც ფიქრობს,მის ჯანმრთელობაზე, მის ყოფაზე. სააკაშვილის რეჟიმის წლები იყო სოციალური ჩაგვრისა და მონობის წლები, როცა ადამიანის სიცოცხლე ჩირადაც არ ღირდა. უქონელი, უფულო, უმუშევარი ადამიანი თავისუფალი კიარა დაჩაგრულ-დამონებულია. ბევრი შიმშილობს დღესაც და ხელისუფლებამ ასეთ ოჯახებს უნდა მიხედოს. ამ დროს კი პარტიული კაკაფონია არ წყდება, არჩევნების ჩატარების დროსა და რიცხვზე. ყველა პარტიას მართლაც უნდა ძალაუფლების ხელში აღება 80 დეპუტატით, მოკლედ, მთელი ქვეყანა პოლიტიკური ბრძოლის ველად იქცა, ხალხი არავის ახსოვს. ქვეყანა საშოვარია, მთელი ბიუჯეტი ლამის პრემიებით დაინაწილონ ,,კარგი შრომისათვის". აი ეს მოიტანა კოალიციამ და კოჰაბიტაციამ, ,,ოცნებას" დიდი მუშაობის გაწევა მოუწევს, რათა ხალხი ისევ აიყოლიოს ამ ვაიპარტიების გარეშე.

საქართველო სიღარიბის გარეშე, გაიძახოდნენ ,,ნაცები" და, სწორედ, სირარიბეს ქმნიდნენ, იცნობენ კი ამ ლოზუნგის ავტორები სირარიბეს, რომელიც არის პატარა ჯვარცმა? ეს ჯვარცმული საქართველო გადარჩენის მოლოდინშია, სად არიან სახელმწიფო კაცები? ქვეყანას პატრონი სჭირდება, თორემ შინაური მტერი იმდენია, მეტი არცაა საჭირო. გარეშე მტერსაც აღარაფერი დარჩება დასანგრევი, თუ დროზე არ მოვიცილებთ ამ არჩევნებით მედროვეებს.

,,ოცნება" განთავისუფლდა ტვირთისგან, მაგრამ მას ახლა შევსება სჭირდება ეროვნული ძალებით. იმ პარტიების, რომლებიც პოლიტიკაში სუფთა ხელებით მოდიან ან დარჩნენ პარტიებად, ქვეყნის ბედი რომ აწვალებთ. ,,ოცნებას" საკმარისად აქვს საარჩევნო გაკვეთილები და შეცდომებზე უნდა ისწავლოს, პარტიად ჩამოყალიბდეს და არა კოალიციად, ურეიტინგო პარტიებთან, რომელმაც შეაფერხა საერთო საქმე. უნდა გაგრძელდეს პოლიტიკური ბრძოლა და ხაზგასმა, რომ მიზანი არის არა პარტიის, არამედ ქვეყნის კეთილდღეობა, ეს არ იქნება იოლი საქმე, ამომრჩევლის უმეტესობა დუმს და ახალი ძალის მოლოდინშია. ,,ოცნებამ" უნდა შეძლოს განახლება და ეროვნული ძალების გაერთიანება.

პოლიტიკურ კინკლაობას ქვეყანა არ უნდა შეეწიროს, იგი პრორუსულ-პრომაერიკულს კიარა, ქართულ საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ფული კი არ უნდა აიღონ ერთის ან მეორის მსახურებისათვის, მოკლედ, არ უნდა გაიყიდოს ქვეყანა, რო-



მელიც ევროპამდე იყო ცივილიზაციის აკვანი და გამუდმებულ ომებში დაიღალა. 25 წელი შეცდომებზე ვიარეთ. თავისუფლება, დემოკრატია თვითმიზნად გავიხადეთ, ქვეყანა ცალკეა, პოლიტიკა ცალკე. სოციალური ვითარებაც თავისუფლების ნაწილია, რევოლუციებიც ხომ ამას მოყვება ხშირად.

ცალკე საკითხია ამომრჩევლის პასუხისმგებლობა, შეძლება ,,ნაციონალები" ,,ოცნებას" გაუტოლდეს, მგელი და კრავის ამბავია-ანუ მგელი კრავის ნიღბით მოძვრება, მაგრამ არ გათეთრდების ყორანი, რაც იუდა ხეხო ქვიშითა, ნუ დაგვავიწყდება ფიზიკური და სულიერად დაჩაგრული ერი მეტს ვერ გაუძლებს, ქვეყანა ცდის პირად ვაქციეთ, ხალხის ბედი ვანდეთ თაღლითების ბანდას - ვარდების რევოლუციის შემოქმედთ, დაჭკნა ეს ვარდები, დროა მოვისროლოთ პოლიტიკურ სანაგვეზე ,,ნაცები" და ძმანნი მისნი თავის ,,გირჩებ-ნაძვებიანად" და გზა და ასპარეზი მივცეთ ეროვნულ ძალებს. საქართველოს დედა ისტორია მოგვძახის - 100 ათას მოწამეთა სისხლი ზეცას შესჩუხჩუხებს, ეს სამშობლოს ძახილია, მარადიული ტკივილი, დიდგორის ძახილია და ყველაფერი ეს გადასარჩენია ჩვენი არჩევანითა და წინდახედულობით.

არ დაგვავიწყდეს, პატარა ერი დიდმა სულიერებამ გადაარჩინა...

ზ. აბრალავა

### ვინ შეუნდობს შინაურ მღვდელს

## ახალი ნავსადგურის მშენებლობაზე ფოთელებს აქვთ უკეთესი პროექტი, მაგრამ არააქვთ მხარდაჭერა

## ბოლო იმედი პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბესელიაა



ახალი პორტის მშენებლობის ფოთელთა საიუინიციატივო ჯგუფი ცნობილ ნავსადგურელის ჯემალ გერსამიას ხელმძღვანელობით რამოდენიმე წელია ცდილობს დაუმტკიცოს ხელისუფლებას ამ პროექტის უპირატესობა. სარგიებლობა, რომელიც ახალ ნავსადგურთან დაკავშიერებით, ანალიზის და საერთაშორისო სპეციალისტების მონაწილეობით შექმნეს, ამერიკელი ინვესტორებიც დააინტერერსეს, მაგრამ როგორც ყოველთვის ბარიერები არ მთავრდება, მიზეზები არ ილევა ამასობაში ქალაქმა დაკარგა ნავსადგური, იგი საეჭვო ვითარებაში გაიყიდა და უფუნქციოდ დარჩენილი ქალაქი სოფელ-დაბას დაემსგავსა.

აღნიშნული პროექტის შესახებ ჩვენს გაზეთში, ასევე რესპუბლიკურ გაზეთებშიც არაერთხელ დაიბეჭდა ვრცელი სტატიები, სადაც ყველა პარამეტრი გათვლილია, ეს პროექტები დევს მთავრობაში, პარლამენტში, სამინისტროში, თუმცა, რეალურად არავინ ინტერესდება.

ფოთელებს ერთადერთი იმედი შემორჩათ-პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის **ეკა ბესელიას** გულისხმიერება და მხარდაჭერა. მან ხომ არაერთი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი გადაწყვეტა, მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენების მხრიდან.

ახალი ნავსადგურის საინიციატივო ჯგუფი მზადაა შეხვდეს ქალბატონ **ეკა ბესელიას** და გადასცეს აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია შემდგომი განხილვისათვის. ეს თავის მხრივ იქნება ერთგვარი გამართლება მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსის, როგორც, რეგიონსა და ცენტრს შორის საშუამავლო რგოლის პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ფუნქციისა.

# ვედრება: უფალო იესო, აარიდე საქართველოს მტრობა, ნგრევა, უსამართლობა, სიღარიბე

**ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი**



## საქართველოს ღვთიური გზა

## გზა ჯვარცმისა და აღდგომისა

ქრისტიანობა და ქართველობა, ანუ ჩვენი ეროვნულობა იდენტურია, რამდენადაც მრავალტანჯული ერი მუდამ თავისუფლებისაკენ ისწრაფოდა, ღვთის სახელით ებრძოდა მტერს, რომელიც ცდილობდა ქართველისათვის რწმენა წაერთმია და ეს იგივე იყო ერისთვის სული გამოგეცლია. ქრისტე ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენც ვეწამეთ ქრისტესათვის, ეს იყო ქართველი კაცის ცხოვრების ფორმულა, სწორედ, ამან განაპირობა ღვთიური გზა, რომელიც ტანჯვა - წამებით, მაგრამ ზნეობრივი გმირობის მაგალითებით გავიარეთ, მხოლოდ ათი ათასი წამებულის შეუპოვრობა, თავგანწირვა რად ღირს, რომლის მსგავსი არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. ასეთი წინაპრები გვყავდეს და ქვეყანა არ გიყვარდეს, მართლაც პარადოქსია, მიუტევებელია. მრავალი რჯულის სექტა ცდილობს წმინდა წყლის აღრევას და, სამწუხაროდ, წინა ხელისუფალნიც, (როგორც რეჟიმი) ცდილობდნენ ქრისტიანულ ციტადელის, როგორც ზნეობის უკანასკნელი ციტადელის მორღვევას, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ამას არ დაუშვებს და აქედან გამომდინარე განსხვავებულია ამ პატარა ქვეყნის ქრისტიანული კუნძულის სულიერი მისია. ჯერ კიდევ როდის გაუძლო მაჰმადიანურ გარემოცვაში ცეცხლსა და მახვილს, ჯერ კიდევ როდის იცავდნენ ქართველები ქრისტეს საფლავს და აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს წმინდა მიწაზე. ღვთიურობის, სულიერების ძაფი უწყვეტია და ვერანაირი მტერი - შინაური თუ გარეული მას ვერ გაწყვეტს, ერს თავისი ისტორია იცავს-ქრისტიანული ისტორია, რომლის მსგავსი არა აქვს არცერთ ქვეყანას. არარაობას, სიკვდილს ღმერთით ებრძოდა ქართველი კაცი, რწმენისთვის ღირდა სიცოცხლე და იგია ერთადერთი გზა უკვდავებისაკენ, რამეთუ „ცოდვილთათვის გარდაცვალება არის სიკვდილი, განწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია". აქ ერთი ლექსი მახსენდება „სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს - მე გჯობივარ თუ შენაო, თუ კაცი ცოცხლობს რწმენისთვის, მაშინ გჯობივარ მენაო, თუ მხოლოდ თავის თავისთვის, რაღათქმა უნდა შენაო".

ღმერთი დედამიწაზე ჩამოვიდა, რათა ზეცად აეყვანა ადამიანი „მე ვდებ ჩემს სიცოცხლეს, რათა ხელახლა მივიღო იგი"-ამბობს უფალი. იესო ქრისტე მოკვდა როგორც ადამიანი და აღსდგა როგორც ღმერთი, ღმერთი ჩვენშია და ჩვენ ღმერთში ვართ, როგორც დიდი ვაჟა იტყოდა „ცოცხალნიც მისი ვართ და მკვდარიცა".

უფალი გვაფრთხილებს „მე ვარ სამოთხის კარი, მხოლოდ ჩემით შემოვლენ სასუფეველში. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ეს უნდა ახსოვდეს. საქართველოს ისტორია ქრისტიანობისათვის ბრძოლის ხმლით შემოსაზღვრული ისტორიაა.

ღმერთმა ორი სამყარო შექმნა მიწიერი და ზეციური, მიწაზე სულიერების, ზეციერების მსახური ეკლესიაა, მადლობა ღმერთს ჩვენს დედა ეკლესიას სათავეში უდგას დიდი სულიერი მოძღვარი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე აღმაშენებელი, რომელიც დიახაც რომ იმსახურებს აღმაშენებლის ტიტულს და ამის თაობაზე წმინდა სინოდის წინაშე საკითხი დააყენა „ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიამ მისი პრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით.

ქართველ კაცის ყოფაცხოვრება, კულტურა, ხელოვნება, ტრადიციები, ცხოვრების წესი ქრისტიანული მრწამსის უკვდავებასთანაა წილნაყარი. ქართველი ყველაფერს მარადიულს და საკაცობრიოს ესწრაფვის - ადამიანის უფლებების დაცვა, პიროვნული თავისუფლება, დღეს რომ ასე გაჰყვირიან, სწორედ რომ ამ ღვთიურ შთაგონებაშია ჩაკირული, ძმობა-თანასწორობა, ჰუმანიზმი აქ იღებს სათავეს. გაიხსენეთ ქრისტე - „ის მათხოვარი მე ვიყავიო", არადა, რამდენჯერ აგვივლია გვერდი გაჭირვებულისთვის, უნდა ვიყოთ სულიერად ამაღლებულნი, რათა პატივი მივაგოთ სხვის უფლებებს, სხვის ინტერესებს, რაც თანხვედრაში უნდა იყოს ერთიან მიზანთან-ერის კეთილდღეობასთან, მის მომავალთან, რომელიც წარსულის და აწმყოს გაგრძელებაა და ამაშია ცხოვრების არსი, მიზანიც და ამოცანაც. ღმერთმა ყველაზე დიდი რამ-სიყვარული დაანათლა ქართველებს, თუმცა, დრო არყევს ამ მთავარ ციტადელს, არავინ იცის სანამდე მივა უღმერთო მსოფლიოაპოკალიფსი თითქოს გარდაუვალია. უღმერთობის-ომების და უბედურების ისტორია საკმარისი არ არის დასკვნებისთვის? ეკოლოგიური კატასტროფებიც ხომ გვაფრთხილებენ, მაგრამ ამაოდ, ამ გლობალურ სივრცეში ვინ დაიცავს პატარა ქრისტიანულ კუნძულს, რომელსაც საქართველო ჰქვია, არც შიგნით გვაკლია მოღალატეები და გამყიდველები, ვითომ პატრიოტები და ქვეყნის დამაქცევლები, გათითოკაცებულ ქვეყანას უფრო იოლად მოერევა მტერი.

უნებურად აღმოგხდება -ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი!

საქართველოს როგორც არასდროს დღეს სჭირდება ქრისტიანული რწმენა და სიყვარული. დაე, იყოს ღმერთი ჩვენთან, რათა გვიყვარდეს ერთმანეთი, რათა ვიყოთ კარგი ქართველები, კარგი მშობლები, მოქალაქეები, ვისთვისაც უმთავრესი ცნება და მოვალეობის არსი უფალი და სამშობლოა, რამეთუ „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა"...

ქრისტე აღსდგა,! დაე, აღსდგეს ჩვენი ქრისტიანული ქვეყანაც, რამეთუ ასე იდენტურია უფალთან მისი გზით ჯვარცმისა და აღდგომისა.

გილოცავთ!

ზ. აბრალავა

# რატომ ვეგებებით წითელი კვერცხით აღდგომის დღესასწაულს



სააღდგომო მილოცვასთან ერთად შემოღებულია წითლად შეღებილი კვერცხების ჩუქება, ეს ჩვეულება ქრისტიანობის დასაბამიდანვე არსებობს. იგი ყველგან დაცულია სადაც კი, მართლმადიდებელ ეკლესიას აღიარებენ. გადმოცემის მოწმობით, ეს ჩვეულება არსებობს მოციქულების დროიდან და დაწყებულია მოციქულთ სწორის მარიამ მაგდალენისაგან, რომელმაც პირველმა იხილა აღმდგარი იესო, ისიც სხვა მოწაფეთა მსგავსად და ყველას ახარებდა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას-ახლაც საქადაგებლად რომში ჩავიდა და აღდგომას წარსდგა რომის იმპერატორ ტიბერის წინაშე. მარიამ ძალიან ცნობილი პიროვნება გახლდათ და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს იმპერატორთან. მას აღარაფერი გააჩნდა, იმპერატორისათვის საჩუქრად იესო ქრისტეს რწმენის მეტი. ამიტომ მასთან შეხვედრისას კვერცხი გაუწოდა იმპერატორს სიტყვებით - აღსდგა ქრისტე! იმპერატორმა ეჭვით შეხედა, როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც, ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო, მაგრამ სიტყვები არ დაემთავრებინა, რომ კვერცხმა გაწითლება იწყო. ამ დღიდან მოყოლებული კვერცხებით ეგებებიან აღდგომის დღესასწაულს ეკლესიაში სააღდგომო წირვის შემდეგ იკითხება კვერცხის ლოცვა კვერცხის ჩუქების დროს ვამბობთ: „ქრისტე აღსდგდა"! პირველყოვლისა სააღდგომო კვერცხი უნდა ყოველ ჩვენგანს გვაგონებდეს ქრისტეს აღდგომას და აგრეთვე, მომავალ ჩვენს აღდგომას, რადგან როგორც კვერცხიდან, მისი ნაჭუჭიდან იბადება სიცოცხლე, რომელიც სრულიად იყო მაშინ დამალული, ასევე კუბოდან სიკვდილის და გახრწნის საცხოვნებლიდან აღსდგა ცხოველმყოფელი და ოდესმე აღდგებიან მკვდარნიც, ასე რომ, როდესაც ჩვენ ვჩუქნით ერთმანეთს წითლად შეღებილ კვერცხს, ამით ჩვენ გამოვხატავთ რწმენას ქრისტეს არდგომაში და მომავალს საერთო აღდგომაში. მეორეც ის, რომ კვერცხი ძლიერ მგრძნობიერი გამომხატველია ჩვენი სულიერი წარმოშობისა, როდესაც კვერცხიდან სითბოს საშუალებით იჩეკება ცოცხალი არსება, აგრეთვე ჩვენს ბუნებას „მკვდარს შეცოდებათაგან" ქრისტეს ცხოველმყოფელობით თავისი მადლით. მესამეც, შესამჩნევია სააღდგომო კვერცხის ფერი, თავისი წითელი ფერით, იგი გვაგონებს ჩვენს ჯვარზე დანთხეულ სისხლს, უბიწო ზვარაკს ქრისტესაგან, რომლითაც გადარეცხა მან ჩვენი შეცოდებანი და გვიხსნა საუკუნო სიკვდილისაგან.

# ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად!

*ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.*

*-დღეს ანგელოზნი ცათა შინა იხარებდნენ და კაცნი ანგელოზთა თანა დღესასწაულობენ.*

*განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ, დღეს დიდება უფლისა შენზედა გამობრწყინდა, განჰცხრებოდე ღვთისმშობელო აღდგომასა ძისა შენისა და იხარებოდა სიონ, და ან შენცა იშვებდი.*

როდესაც იუდეველებმა უმოწყალოდ, ჯვარს აცვეს ქრისტე, მეორე დღეს, რომელიც მოსდევს პარასკევს შეიკრიბენ მღვდელმთავარნი და ფარისეველნი პილატეს კარზე და თქვეს: ბატონო, გაგვახსენდა, რომ ამ მაცდურმა სიცოცხლეში თქვა, სამი დღის შემდეგ აღვსდგებიო, მაშ ბრძანე მესამე დღემდე უდარაჯონ სამარხს, რათა მისი მოწაფეები არ მივიდნენ ღამით, არ მოიპარონ იგი და უთხრან ხალხს: მკვდრეთით აღდგაო და უკანასკნელი სიცრუე პირველზე უარესი იქნება. უთხრა მათ პილატემ: დარაჯნი თქვენ გყავთ, წადით და უდარაჯეთ, როგორც იცით. ისინიც წავიდნენ, სამარხის დასაცავად დაბეჭდეს ლოდი და დარაჯი დაუყენეს, ხოლო შაბათს დამლევს, კვირის პირველი დღის განთიადისას მოვიდა მარიამ მაგდალინელი და მეორე მარიამიც სამარხის სანახავად და აჰა, საშინლად იძრა მიწა, ვინაიდან უფლის ანგელოზი ჩამოეშვა ზეცად, მივიდა და გადააგორა სამარხის კარიდან ლოდი და ზედ ჩამოჯდა, სახე მისი იყო როგორც ელვა, სამოსი მისი სპეტაკი, როგორც თოვლი. მისი შიშით შეძრწუნდნენ საფლავის მცველნი და მკვდრებს დაემგვანენ. მიმართა ანგელოზმა ქალებს და უთხრა მათ: ნუ გეშინიათ, ვიცი, რომ, ჯვრაცმულ იესოს ეძებთ, აქ აღარ არის, არამედ აღსდგა, როგორც თქვა, მიდით და იხილეთ ის ადგილი, სადაც ესვენა უფალი, სასწრაფოდ წადით და უთხარით მის მოწაფეებს, რომ მკვდრეთით აღსდგა და წინ მიგიძღვით გალილეისაკენ და იქ იხილავთ მას, აჰა, გითხარით თქვენ, ხოლო ისინი მსწრაფლ გამოვიდნენ სამარხიდან და შიშითა და სიხარულით მირბოდნენ, რათა ეუწყებინათ მისი მოწაფეებისთვის და მოწაფეების საუწყებლად მიმავალთ აჰა, შემოხვდათ იესო და უთხრა მათ:

გიხაროდენ! ხოლო ისინი მივიდნენ, მუხლებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას. (მათ. 27.28)

*ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები!*

## 9 აპრილი -დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მარადიული ნიშანსვეტი- ტრაგიზმისა და გამარჯვების დღე !



საქართველოს ისტორია სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა. თითქოს სიცოცხლის წყურვილის გარდა არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა. ამ ბრძოლაში უმთავრესი იარაღი ქრისტიანული რწმენა იყო. იგი აერთიანებდა ქვეყანას, რამაც გადაარჩინა იგი, მაშინ როცა დიდი იმპერიები გაქრნენ ასპარეზიდან-ბაბილონი, რომი, კართაგენი. საბჭოთა ეპოქამ ეროვნული სულისკვეთება სხვა პარამეტრზე გაიყვანა - პატრიოტიზმი ინტერნაციონალიზმს შეერწყა, თუმცა, შემდეგმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ეროვნული თვითშეგნება არ ჩამკვდარა, იგი გენეტიკურ ფენომენად იქცა. ეროვნული გმირები ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა სათავეში ჩაუდგნენ ქვეყნის სსრ კავშირიდან გამოყოფას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სახალხო მოძრაობას.ეს იყო რთული წინააღმდეგობებით აღსავსე გზა, რომელიც მსხვერპლს მოითხოვდა. 1989 წლის 9 აპრილს ეროვნული მღელვარების ტალღამ მთელი ქვეყანა მოიცვა და იგი დაუპირისპირდა რუსეთის უზარმაზარ სამხედრო ძალას. 20 ქართველის უმანკო სიცოცხლე შეეწირა ამ დღეს, რომელმაც სათავე დაუდო ქვეყნის დამოუკიდებლობას. 31 მარტს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის საფუძველზე 9 აპრილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოცხადდა, ეს მხოლოდ სიმბოლური მოვლენა არ არის თარიღთან დაკავშირებით, იგი ქართველი კაცის მარადიულ სულისკვეთებასთან გავლებული პარალელია. სისხლით, თავდადებული ბრძოლითა და გამბედაობით მოპოვებული და რაც დრო გადის ამ დღის ტკივილი ახლებურად მოდის ჩვენში-დახოცილები, მოწამლულები, დასახიჩრებულები, უმოწყალოდ სასიკვდილოდ გამეტებულები. მაგრამ გაუტეხელნი, უშიშარნი, უდრეკნი, მათ შორის ქალები, ბავშვები, ტანკებს ჯოხებით რომ იგერიებდნენ.

9 აპრილის სულისკვეთება, ტრაგიზმი და გამარჯვება ასე ემოციურად მიიტანეს ფოთში გამართულ საქალაქო ღონისძიებაზე ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, რეჟისურა, ქორეოგრაფია, მხატვრული გაფორმება-ყვავილაფერი ამაღლებული ჰეროიკულ ფონს ქმნიდა. ,,დაუკარით რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს”, ისევ ისმოდა ტანკების გუგუნში ფონოგრამიდან. ეროვნულ სამოსებში გამოწყობილ ახალგაზრდებს - ეროვნული დროშა შემოაქვთ ,,შავლეგო”, ,,ჩემო კარგო ქვეყანავ” მღერიან პატარა ფაზისელები. ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე თოფურიამ, საზოგადოების წარმომადგენლებმა გვირგვინებით შემოსეს მემორიალი და პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.



იყო მოგონებები, ლექსები, მისალმებები, სევდა და სიხარული.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გრძელდება, აღსადგენია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ მთავარი მაინც ჩვენი ერის სულიერი ერთობაა, ეს ადამიანები დასაფასებელია.

,,ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები” -გაისმის ბოლო აკორდად. უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, უნდა გავუთბოთ გულები ერთმანეთს, ერთად ვიბრძოლოთ ერთი მიზნისათვის, სხვა გზა არაგვაქვს თუ გვინდა გადავრჩეთ- ,,თავისუფლება ლომთა ხვედრია”!

საქართველოს გზაც აქეთკენ მიდის, ესაა გზა ჯვარცმისა და აღდგომისა-ეს ღვთიური გზაა და აუცილებლად გავიმარჯვებთ.

## ფოთში ნიკო ნიკოლაძის კოშკის აღდგენა მაისიდან დაიწყება



ფოთში ნიკო ნიკოლაძის კოშკის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა მაისიდან დაიწყება. ამის შესახებ ფოთის მერიაში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მერი ირაკლი კაკულია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის თავმჯდომარეს ზურაბ ხვედელიძეს შეხვდა. კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაეობი ორ ეტაპად განხორციელდება.

ნიკო ნიკოლაძის კოშკი ქალაქ ფოთისთვის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. როგორც ისტორიული, ასევე არქიტექტურული თვალსაზრისით. გადმოცემის თანახმად, 1578 წელს ფოთს თურქები დაეპატრონენ და ციხესიმაგრე ააშენეს მდინარე რიონის მარცხენა სანპიროზე. თურქეთისაგან განთავისუფლების შენდეგ 1870 წელს ეს მხარე დაუთვალიერებია რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მეორეს. იმპერატორის დასახვედრად სახე უცვალეს ფოთის ციხეს,როგორც თურქთა ბატონობის სიმბოლოს.

შეცვალეს ციხის გარეგნული ხედი, მოშალეს ციხის შიგნით აღმართული მეჩეთი, მთავარ შესასვლელთან დააშენეს 2 სართულიანი კოშკი, რომელიც კონუსისებრი ხის შპილით მთავრდებოდა. 1896 წელს ნიკო ნიკოლაძემ ციხე-კოშკს კიდევ 2 სართული დააშენა. მე-5 სართულზე განთავსებულია მექანიკური საათი, რომელიც 1870 წელსაა დამზადებული და ნიკო ნიკოლაძემ პარიზიდან ჩამოიტანა.

## NDI – გამოკითხულთა 31 პროცენტი მიიჩნევს,რომ არჩევნებში ,,ქართული ოცნება” გაიმარჯვებს. ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის მიხედვით, პარტიების რეიტინგში ქართული ,,ოცნება” ლიდერობს.

კითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელი პარტია გაიმარჯვებდა, შედეგები ასე გადანაწილდა – კოალიცია „ქართული ოცნება – 31 პროცენტი; „ნაციონალური მოძრაობა“ – 11 პროცენტი; არ ვიცი – 43 პროცენტი.

I -ის ინფორმაციით, გამოკითხვა 2016 წლის 23 თებერვლიდან – 14 მარტის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით, 3,900 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში ჩატარდა. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1,6%“.

ამასთან, კვლევის პერიოდში განცხადებები არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ კოალიციის წევრი პარტიების მიერ გაკეთებული არ ყოფილა.

# 2 მაისი ხსოვნის დღეა

**სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ როცა კვდება,**
**სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება.**
**ვინც პატივს არ მიაგებს წინაპართა საფლავებს, იმას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა.**
*ვინც ქვეყნისთვის ცოცხლობს - უკვდავია!*

## მარადი ცოლი ოლღა ვექუას ხსოვნას



ჩვენს თაობას ნელნელა მწუხრი ეპარება, აქა-იქ მეგობრები შემოგვაკლდა, ახლახან ჩვენს ძმასა და მეგობარს დაზმირ კორკელიას წუთისოფლის ტრიალმა მეუღლის დაკარგვით უდიდესი ტკივილი განაცდევინა. ეს ის დროა, როცა სიყვარული დროშია განვლილი, გამოცდილი და გამორჩეული როგორც შემოდგომის, ეს იყო ლამაზი წლები ურთიერთობებით გაცისკროვნებული, ნათელი, როგორც სიკეთის აღმაფრენა და რომლიდანაც ბედნიერია კაცი და ამ ბედნიერების დაკარგვაა უბედურება.დიდი ქალბატონი მძიმე ავადმყოფობამ სიკვდილ სიცოცხლის ზღვარზე ატარა, გაუსაძლის ტკივილთან ჭიდილში დაიღალა, მაგრამ მეუღლის თანადგომა ტკივილზე მაღლა იდგა და მთელმა სამეგობრო, საახლობლო გახდა საოცარი სიყვარულის, ღამისთევის და ტკივილის გაზიარების მოწმე -ეს მხოლოდ რკინის ნერვებითაა შესაძლებელი.

სიკეთით სავსე თვალები, ნელნელა მინავლებული ცეცხლი, არადა, ამ დიდებული ქალბატონიდან მხოლოდ სითბო და სიყვარული გადმოდიოდა. დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას ამიტომაც იმსახურებდა, ყველასგან ვისაც კი მისი სიკეთე და თანადგომა ახსოვს.

დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი. იქნებ გაუჩნდა სინანული სიკეთით განვლილ გზის გამო, სხვათა სიამოვნებას გადაყოლილს ასე მოუბრუნდა განგება. განშორების ცრემლი, წუთისოფლის დარდი, უცნობი სამყაროსკენ ლტოლვა, მხოლოდ უფალია იმედი. აღსარების დროა- თეთრი ანგელოზი-მწარეა დაცილება სიცოცხლესთან, საყვარელ ადამიანებთან, არ გვინდა გათავდეს სიყვარული, შორეული ღიმილი კრთის ტანჯულ სახეზე.

აპრილის ყვავილების თქეშს გაყვა მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა-რა არის სიკვდილს მიღმა- სიცოცხლე გრძელდება? სად არის სულების მარადიული სამყარო-კითხვები, საკუთარი თავის გამოტირება.

სევდიანი დღეები, მოგონებები, მარტოობა არ ასვენებს ოჯახის თავკაცს, მიუხედავად იმისა, შვილები და შვილიშვილები ახვევია.

სიკვდილთან არავის მოუგია ბრძოლა, არ იცი, როგორ შეეგუება ახალ სამყაროს, სიყვარულს მიჩვეული, დიდი მეგობარი, სათნო, ოჯახის მოყვარული, მეუღლე-მარადი ცოლი, ორთავ სოფელს რომ ალამაზებდა ჭიქა ღვინო მუდამ შეივსება ხსოვნის არდასავიწყებლად და მოგონებები გაანათებს მის უკვდავ სულს.

**მეგობრები**

## რეზო უბირიას გამოსათხოვარი



**„გადაურბინა ბალახმა საფლავს-**
**სიცოცხლის წერტილს,**
**შენ ჩვენთვის როგორ არახარ,**
**ეს ჩვენ არა ვართ შენთვის."**

ქალაქის ტექნიკურ ინტელიგენციას გამოაკლდა ნიჭიერი, შრომისმოყვარე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, მშენებელ-ინჟინერი rezo grigolis Ze ubiria.

რეზო უბირია დაიბადა 1941 წელს ქ. ფოთში, აქვე დაამთავრა მეორე საშუალო სკოლა და №12 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მშენებლის სპეციალობით, მაგრამ სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა ამით არ დაკმაყოფილდა და 1973 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე და მიიღო მაღალი კვალიფიკაციის ინჟინრის წოდება, რაც შემდეგ სრულად მოახმარა ქალაქის აღმშენებლობის საქმეს. მისი მადლიანი და გამრჯე მარჯვენით აშენდა მრავალი კეთილმოწყობილი ბინა თუ საამშენებლო ობიექტი, რომელიც ტოლს არ უდებდა ევროპულ სტანდარტებს. იგი იყო საქმეში პრინციპული, მომთხოვნი პროფესიონალი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებს შორის. მას არ უყვარდა მოჩვენებითობა და პირფეროба. საზოგადოებაში და მეგობრებში სარგებლობდა ავტორიტეტით. მისი სიტყვა და საქმე განუყოფელი იყო, გარდა იმისა, რომ საზოგადოებაში სარგებლობდა პატივისცემით, იყო კარგი მეოჯახე.

მან ქვეყანას აღუზარდა ნიჭიერი და გამრჯე შვილები, რომლითაც ამაყობდა მუდამ.

ბატონი რევაზ უბირია საქვეყნო საქმეშიც აქტიურად მონაწილეობდა. წლების განმავლობაში იყო პარტორგანიზაციის მდივანი და ამავე დროს მრავალი კეთილი საქმის მოთავე.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, მუხლჩაუხრელი, სამშობლოზე, ქალაქზე უსაზღვროდ შეყვარებული, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა. რომლის სახელი და საქმენი დიდხანს დარჩება მისი ახლობლების გულში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ღმერთი ფარავდეს მის ოჯახს.

**მეგობრები**

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი საზოგადო და სამეურნეო მუშაკი

**ომარი მიხეილის ძე ბურკვაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს



## ქაფშიის სუნი ქალაქს არ უნდა აწუხებდეს...

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

2016 წლის 10 მარტს გაიმართა საზოგადოებრივი სათათბიროს სხდომა.

**სხდომას ესწრებოდნენ სათათბიროს წევრები:** დავით პაჭკორია, ნაპო თოდუა, ოლეგი ნაჭყებია, აკაკი დარჯანია, ბეჟან ჯალაღანია, გიგლა გვიჩია, პაატა გეგენავა, კორნელი სართანია, ვაგნერ მხეიძე, ნანა თოფურია, დავით წურწუმია.

**დღის წესრიგი**:

- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქაფშიის გადამამუშავებელ ობიექტებზე პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების შესახებ;

**მომხსენებელი:** სათათბიროს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **დავით წურწუმია.**

- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობისა და მაგისტრალური მიწისსამოსიანი არხების გაწმენდის ღონისძიებების შესახებ.

**მომხსენებელი:** სათათბიროს მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის კომისიის თავმჯდომარე **კორნელი სართანია.**

**პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა**,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქაფშიის გადამამუშავებელი ოთხი ობიექტის (შპს ,,ზღვის პროდუქტი", შპს ,,გეო ფიშ ფაქტორი", შპს ,,აისბერგ-2", შპს ,,მბმ") მიერ პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების შესახებ, აღნიშნა შემდეგი:

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარემოს დაცვას და პროდუქციის წარმოებისას ეკოლოგიურად უსაფრთხო საწარმოო პროცესების წარმართვას. ამ მხრივ ჩვენს ქალაქში შექმნილია არასახარბიელო მდგომარეობა.

ბოლო წლებში ქაფშიის გადამუშავების შედეგად გამოწვეულმა უსიამოვნო სუნმა პრობლემა შეუქმნა მოსახლეობას. იგი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ადგილი აქვს თვალების წვას, სასუნთქი გზების დაავადებების გართულებებს, ალერგიულ გამოვლინებებს, სხვა სახის პათოლოგიურ ცვლილებებს ორგანიზმში. უფრო მეტიც: 8 მარტის ქუჩაზე მდებარე თევზის გადამამუშავებელ საწარმოდან (შპს ,,მბმ" დირექტორი მ. ხარაბაძე) გამოსული უსიამოვნო სუნი უარყოფით ზეგავლენას ახდენს იქვე მდებარე სკოლისა და საბავშვო ბაღის მოსწავლეებისა და ნორჩი აღსაზრდელების ფსიქიკაზე და მათ ჯანმრთელობაზე, რაც თავის მხრივ აფერხებს ნორმალური სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. შექმნილი ვითარება შედეგია იმისა, რომ საწარმოებში, სავარაუდოდ, უხეშად ირღვევა პროდუქციის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ნორმები შესაბამისი საფილტრაციო მოწყობილობის არარსებობის გამო.

**აზრი გამოთქვეს:** დავით პაჭკორიამ, ნაპო თოდუამ, ოლეგი ნაჭყებიამ, აკაკი დარჯანიამ, ბეჟან ჯალაღანიამ, გიგლა გვიჩიამ, პაატა გეგენავამ, კორნელი სართანიამ, ვაგნერ მხეიძემ, ნანა თოფურიამ.

**სათათბირომ გადაწყვიტა:**

- დამტკიცდეს სათათბიროს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიურ საკითხთა კომისიის წინადადებები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ **ქაფშიის გადამამუშავებელ ობიექტებში პროდუქციის ტექნოლოგიურ პროცესებში არსებული ნაკლოვანებების შესახებ.** (დანართი №01)

- სათათბიროს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიურ საკითხთა კომისიამ თავმჯდომარე (დ. წურწუმია) აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განახორციელოს შესაბამისი კონტროლი და შედეგებზე პერიოდულად მოახსენოს საზოგადოებრივ სათათბიროს.

-აღნიშნული გადაწყვეტილება რეაგირებისათვის გაეგზავნოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს.

**გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.**

**მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აღნიშნა შემდეგი:**

- 2015 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თანახმად ხელშეკრულებისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (№80 21 მაისი 2015 წელი ქ. ფოთი), მოვლა-პატრონობასა და გაწმენდით ღონისძიებებს დაექვემდებარა ასორმოცდახუთი სანიაღვრე არხი. მათ შორის: ცენტრისუბანი - ორმოცდაოთხი სანიაღვრე არხი; მალთაყვის უბანი - ოცდაცხრა სანიაღვრე არხი; კუნძულის უბანი - ოცდაცამეტი სანიაღვრე არხი; ნაბადის უბანი -ოცდაცხრამეტი სანიაღვრე არხი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობისა და გაწმენდის ღონისძიებების მიმდინარეობის ვიზუალური დათვალიერებითა და შესაბამისი სატენდერო-სახელშეკრულებლო მასალების გაცნობის შედეგად, საზოგადოებრივი სათათბირო აღნიშნავს, რომ სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობისა და გაწმენდის ღონისძიებების მიმდინარეობის განხორციელება შეუსაბამობაშია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (№80 21 მაისი 2015 წელი ქ. ფოთი) განსაზღვრული პირობების მოთხოვნებთან;

სანიაღვრე არხებისა (მათ შორის დახურული) და ჭების მოვლა-პატრონობის მიმდინარეობის ეფექტურობა ვერ უზრუნველყოფს ატმოსფერული ნალექების სრული დატვირთვით გატარებას, სანიაღვრე არხებისა (მათ შორის დახურული) და ჭების (დალექვა, დანაგვიანება) გამტარიანობის კვეთის ხელოვნურად შემცირების გამო;

**სათათბირო მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობისა და გაწმენდის ღონისძიებების გატარების ეფექტურობის კოეფიციენტის მაჩვენებელი, პირველ რიგში, უნდა განისაზღვრებოდეს არა გატანილი მასის ოდენობით, არამედ სანიაღვრე არხების სტაბილური და ეფექტური წყალგამტარუნარიანობით.**

**აზრი გამოთქვეს:** დავით პაჭკორიამ, ნაპო თოდუამ, ოლეგი ნაჭყებიამ, აკაკი დარჯანიამ, ბეჟან ჯალაღანიამ, გიგლა გვიჩიამ, პაატა გეგენავამ, ვაგნერ მხეიძემ, ნანა თოფურიამ.

**სათათბირომ გადაწყვიტა:**

- დამტკიცდეს ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობისა და მაგისტრალური მიწისსამოსიანი არხების გაწმენდის ღონისძიებების ანალიზის შესახებ (დანართი №02).

- სათათბიროს მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის კომისიამ (თავმჯდომარე კ. სართანია) აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განახორციელოს შესაბამისი კონტროლი და შედეგებზე პერიოდულად მოახსენოს სათათბიროს.

- აღნიშნული გადაწყვეტილება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს.

**გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.**

სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე ბეჟან ჯალაღანია

სათათბიროს მდივანი ნანა თოფურია

## საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ,,ექსპო-ჯორჯიაში”




14 და 15 აპრილს თბილისში საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯია“-ში საერთაშორისო ტურისტული გამოფენა მოეწყო,რომელშიც 68 ქვეყნის ტურისტული ორგანიზაცია და წარმომადგენლობა მონაწილეობდა.გამოფენა გახსნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **დიმიტრი ქუმსიშვილმა**. საგულისხმოა,რომ აღნიშნული მაღალი დონის გამოფენაში,როგორც საქართველოს ერთ-ერთი მდიდარი ტურისტული პოტენციალის მქონე რეგიონი, ქალაქი ფოთიც მონაწილეობდა. ფოთის დელეგაციის მიერ გამოფენაზე წარდგენილ იქნა ტურისტული შინაარსის,დატვირთვისა და ვიზუალის მქონე ხელოვნების ნიმუში.

ქალაქ ფოთის წარგზავნილ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ააიპ „ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრის“ დირექტორი **მიხეილ კილასონია**. საერთაშორისო ტურისტული გამოფენა მიზნად ისახავდა საქართველოში ტურისტული პოტენციალის გამოვლენა-რეალიზებასა და ტურიზმში უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად მიმზიდველი

გარემოს შექმნასა და შესაძლებლობებზე წვდომას.



## შეხვედრა ტურიზმის ცენტრში




ქალაქის ტურიზმის ცენტრის დარბაზში გაიმართა შეხვედრა,რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის მუნიციპალიტეტის მერი, ბ/ნი **ირაკლი კაკულია**, საკრებულოს წევრები და ადგილობრივი სამსახურების წარმომადგენლები, შეხვედრას უძღვებოდა საერთაშორისო ტურისტული კომპანია **,,ლინატას''** ხელმძღვანელი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი ქ/ნი **ნანა ტაბიძე**. პრეზენტაცია ეძღვნებოდა ჩვენი ქალაქის ტურისტული პოტენციალის მიმოხილვას. ქალბატონმა ნანამ ერთ-ერთ მთავარ თემად გამოყო ქალაქის დღესასწაულის ,,ფაზისობის“ თარიღის შეცვლა. გამოიკვეთა აზრი, რომ აღნიშნული დღესასწაული ნაცვლად შემოდგომისა, აღინიშნოს ზაფხულის პერიოდში (ივლისი-აგვისტო) რადგან, ჩამოსულ ტურისტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ ,,ფაზისობის“ დღესასწაულს.



დასასრულს, ქალაქის მერმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნანას ამ მნიშვნელოვან შეხვედრაზე მოწვევისათვის.



## ფოთში საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა მაისში დაიწყება



სულ მალე ქართულ-თურქული ინვესტიციით ფოთში, ფალიაშვილის ქუჩაზე საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილი საქსოვი ფაბრიკა აშენდება. პოტენციური ინვესტორები ვიზიტით იმყოფებოდნენ ქალაქში და საკრებულოს თავმჯდომარეს **ალექსანდრე თოფურიას** შეხვდნენ. ეს იყო მორიგი შეხვედრა, სადაც თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ქალაქის ბიზნეს გარემოს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ეს ფაქტი - ფოთი ინვესტორებისთვის უფრო მეტად მიმზიდველი ხდება, ისინი ეცნობიან ქალაქის პოტენციალს და სულ უფრო მეტად უჩნდებათ ინვესტიციების განხორციელების სურვილი, მსგავსი ინვესტიციები კი ხელს უწყობს ქალაქის ეკონომიკის ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. სტუმრებმა თავმჯდომარესთან დეტალებზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა მაისის თვეში დაიწყება, რომლისთვის საჭირო კონსტრუქცია და მასალა უკვე შეძენილია. მშენებლობის პერიოდში ობიექტზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება, ხოლო მისი დასრულების შემდეგ ფაბრიკაში 500 ადამიანის დასაქმება იგეგმება. შეხვედრის დასრულების შემდეგ ალექსანდრე თოფურიამ თურქ ინვესტორებთან ერთად ფალიაშვილის ქუჩაზე საქსოვი ფაბრიკის მშენებლობისთვის შერჩეული ტერიტორია დაათვალიერეს. საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს და გამოთქვა მზადყოფნა გვერდში დაუდგეს ქალაქში ინვესტიციების განხორციელების მსურველ თითოეულ ინვესტორს.



### მილოცვა

## ლამარა მექვაბიშვილს

აღდგომის პრწყინვალე დღესასწაულს და დაბადების დღეს -1 მაისს ვულოცავთ დიდ პედაგოგს, მრავალი თაობების აღმზრდელს ლამარა მექვაბიშვილს.

დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას და წარმატებებს ვუსურვებთ კიდევ უამრავ მოსწავლეთა აღზრდა-დაფრთიანების საქმეში.

ლამარა და ზემიკო გუჯაბიძეები

## იყიდება

სილამაზის სალონისათვის განკუთვნილი აბრა, ზომით 1,80X1,50 (ფერადი)

რიონისსანაპირო, მეგრელიშვილის ქუჩა

მობ: 551 94 00 48 რევაზი




## იყიდება

კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი, იერუსალიმის ქუჩა №4

სპორტი

## კიდევ გაზაფხულს ელემ...
# შალვა (შაკო) საჯაია-პერსპექტიული ფეხბურთელი
## გზა ფოთის სკოლიდან მსოფლიო ასპარეზისაკენ



ფოთი ფეხბურთის აკვანია და მან არაერთი მსოფლიო რანგის ფეხბურთელი გაუზარდა ქვეყანას. მართალია, ბოლო დროს აქ ფეხბურთის განვითარება შენელდა, მაგრამ, იმედია, ვითარება გამოსწორდება და ფოთი კვლავაც იტყვის თავის სიტყვას დიდ ასპარეზზე.

ბავშვთა საფეხბურთო სკოლას ჩვენს ქალაქში თავისი კარგი ტრადიციები აქვს, უიმისოდ დიდი ფეხბურთელები არ გაიზრდებიან. ამ სკოლამ ბევრს გაუკვალა გზა სპორტული ალიარებისაკენ. მათ შორისაა **შალვა (შაკო) მამუკას ძე საჯაია**.

პარალელურად იგი ცნობილ სპორტულ მოღვაწესთან **ანზორ მიქელაძესთან** ვარჯიშობდა. შაკო საჯაია მე-12 საჯარო სკოლაში (დირექტორი **ხობელია მანანა)** სწავლობდა. პედაგოგებს თბილად იხსენიებს. მისი გუნდი არაერთხელ ყოფილა სამეგრელო-ზემოსვანეთის, აჭარის, გურიის რეგიონის ჩემპიონი. შაკოს კარგი თამაში, მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა, იგი აიყვანეს თბილისის საბურთალოს რაიონის ბავშვთა საფეხბურთო კლუბში. შაკო თბილისის №84 საჯარო სკოლაში აგრძელებს სწავლას თანაც წარმატებით და კარგად უთავსებს ერთმანეთს ორ დიდ საქმეს. მშობლებსაც მეტი რაღა უნდა-ხარობენ შვილის წარმატებით (ნანა ცხომარია და მამუკა საჯაია).

საბურთალოს საფეხბურთო კლუბის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება, რომელიც დანიაში ჩატარდება.

შაკო საჯაიას აღზრდაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მწვრთნელებს **ლერი ცირამუას, ნუგზარ ლემონჯავას**. წარმატებული ფეხბურთელი დიდი სიყვარულით იხსენებს მათ, ასევე თანაგუნდელებს და წარმატებებს უსურვებს დიდ სპორტულ გზაზე.

ასევე მადლიერებით იხსენებს სკოლის ადმინისტრაციას. **კახა ეფრემიძის** ღვაწლს. მადლობას უხდის **კახა ლატარიას** მრავალგზის თანადგომისათვის.

მაშ, გზა დაულოცოთ ფოთელ სპორტსმენს დიდ ასპარეზზე.

ჰა, ბურთი და ჰა მოედანი!

ჭადრაკი

# ანი ჭანტურია საქართველოს ჩემპიონია



8 -17 აპრილს, თბილისში, **ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს 10, 14 და18 წლის მოჭადრაკე გოგონათა და ვაჟთა შორის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოთის **ნანა ალექსანდრიას** სახელობის ჭადრაკისა და შაშის სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა.

განსაკუთრებით, დიდ წარმატებას მიაღწია 17 წლის ფოთელმა მოჭადრაკემ **ანი ჭანტურიამ**. მან მთელი ჩემპიონატი საბრძოლო შემართებითა და სწორი ტაქტიკური თამაშით 9 შესაძლებლობიდან, წაუგებლად 6 ქულა და სატურნირო მაღალი კოეფიციენტით მოიპოვა გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონის ტიტული და ასევე მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების საგზურის არჩევის უფლება 18 წლის გოგონათა შორის.

ბოლო 10 წლეულში ჩვენი ქალაქის მოჭადრაკეთა ოფიციალურ საერთაშორისო თუ საქართველოს ტურნირებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, **ანი ჭანტურია ფოთის საჭადრაკო ისტორიაში პირველია**, რომელმაც 18 წლის გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა.

**ანი** მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეა, რომელიც სწავლასა და სპორტს შესანიშნავად უთავსებს ერთმანეთს.

ასევე წარმატებებით დაასრულეს ჩემპიონატი **ლაშა არველაძემ**, რომელმაც 10 წლის ჭაბუკთა შორის მე-2 მე-6 დგილები გაიყო.

11 წლის **დიანა ლომაიამ** 14 წლის გოგონათა შორის პაიქრობაში მე-5 ადგილი დაიკავა.

ფოთელ მოჭადრაკეთა წარმატებული გამოსვლა უზრუნველყო საჭადრაკო სკოლის მთავარმა მრწვთნელმა **გოჩა ჩაჩუამ**, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია ჩემპიონატისათვის მოჭადრაკეთა მომზადების საქმეში.

უახლოეს პერიოდში 4-13 მაისს თბილისში ჩატარდება 8-12-16 წლის მოჭადრაკე გოგონათა და ვაჟთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი, სადაც ჭადრაკის სასპორტო სკოლის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას და დაიცავენ ჩვენი ქალაქის სპორტულ ღირსებას.

კრივი

# 22 აპრილს გაიხსნა სახელოვანი მოკრივის ზურაბ სარსანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში




22 აპრილს ხელბურთის დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სახელოვანი მოკრივის ზურაბ სარსანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში 2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც გათამაშდება 18 წონითი კატეგორია.

ტურნირზე მონაწილეობას ღებულობენ გორის, თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, საჩხერის, სენაკის, ბათუმის, მესტიის, ახალქალაქის, რუსთავის, ზუგდიდის, თელავის, ვარიანის, გურჯაანის, მარნეულის, ყვარელის და სომხეთის სამი ნაკრები გუნდი.სულ ტურნირზე მონაწილეობას ღებულობს 150 - მდე მოკრივე



# 21-24 აპრილს ჩატარდა სახელოვანი მოკრივის ზურაბ სარსანიას სახელობის რესპუბლიკური ტურნირი



მიმდინარე წლის 21-24 აპრილს ხელბურთის დარბაზში გაიმართა სახელოვანი მოკრივის ზურაბ სარსანიას სახელობის ტურნირი კრივში 2002-2003 წელს დაბადებულ მოკრივეთა შორის, სადაც გათამაშდა მედლები 18 წონით კატეგორიაში: ფოთელმა მოკრივეებმა წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს როგორც პირველი, აგრეთვე მეორე და მესამე საპრიზო ადგილები სხვადასხვა წონით კატეგორიებში.

ზურაბ სარსანიას სახელობის მოკრივეთა კლუბი ,,ლიდერი'':

1. ანზორ ქაჯაია - I ადგილი, 34 კგ წონითი კატეგორია
2. ნიკოლოზ სამეევი - I ადგილი, 38,5 კგ წონითი კატეგორია
3. ნიკოლოზ წულაია - I ადგილი, 62 კგ წონითი კატეგორია
4. გიორგი გეგეჭკორი - II ადგილი, 41,5 კგ წონითი კატეგორია
5. ალექსი ტყებუჩავა - III ადგილი, 54 კგ წონითი კატეგორია
6. ირაკლი კუბლაშვილი - III ადგილი, 38,5 კგ წონითი კატეგორია

კრივის სასპორტო სკოლა:

1. ლადო ლომაია - I ადგილი, 56 კგ წონითი კატეგორია
2. გიორგი საჯაია - II ადგილი, 38,5 კგ წონითი კატეგორია
3. დავით გოგებაშვილი - III ადგილი, 41,5 კგ წონითი კატეგორია
4. საბა ჯოლოხავა - III ადგილი, 54 კგ წონითი კატეგორია

სპორტის სამსახური გულითადად ულოცავს მოკრივეებს და მათ მწვრთნელებს მიღწეულ წარმატებებს.



ფეხბურთი

# ფოთის ,,კოლხეთი 1913''- ,,დინამო'' თბილისი 1:3

სატურნირო მდგომარეობა ფოთის "კოლხეთს" დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა. ჩემპიონატის ფინიშზე მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა და თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა.

სწორედ ამით იყო გამოწვეული, ის დაძაბულობა, რაც თამაშის მიმდინარეობისას იგრძნობოდა.

პირველ ტაიმში თბილისელები ფოთის "პარკ არენაზე" უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ და ანგარიში მე-13 წუთზე საეჭვო პენალტით გახსნეს - ოთარ კიტეიშვილის საჯარიმოში წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გიორგი ქვილითაიამ ზუსტად შეასრულა და ჩემპიონატში მე-20 გოლი გაიტანა - 0:1.

24-ე წუთზე დინამოელებმა მორიგი შეტევა მარცხენა ფლანგიდან წამოიწყეს. ალექსანდრე იაშვილმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ჯაბა ჯიღაური მცველებს გაექცა და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა - 0:2.

ტაიმის ბოლო წუთები ფოთელთა უპირატესობით წარიმართა. ზედიზედ ორჯერ დათა სიჭინავა საჯარიმოდან ანგარიშის შემცირებას შეეცადა, მაგრამ "სტანდარტების" ჩინებული შემსრულებელიც ამჯერად უშედეგოდ ირჯებოდა - პირველად სტუმართა კარს ბურთი სანტიმეტრებში ააცილა.

მეორე ტაიმში ფოთელები სხვაობის შემცირებას მთელი ძალებით ცდილობდნენ, თუმცა უკანმოუხედავად უტევდნენ, რაც "დინამოს" მწვავე კონტრშეტევების საშუალებას აძლევდა.

ერთ-ერთი ასეთი იერიშისას იურაი იარაბეკის შეგირდებმა ფოთელები სწრაფ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს. იერიში წამოიწყო რენე ფერეირამ და ოთხი დინამოელი (2 ფოთელი მცველის წინააღმდეგ) გაიყოლა მეტოქის კარისკენ, სადაც საბოლოო დარტყმა მანვე შეასრულა - 0:3.

ფოთელებმა პრესტიჟის გოლი მაინც გაიტანეს - თამაზ ჯიშკარიანის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ომარ გოგონაიამ გამოიყენა - 1:3.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ზიგდიდელი მსაჯის ლ. კვარაცხელიას მსაჯობა.

ამ მოგებით, თბილისელებმა 67 ქულა დააგროვეს და ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე მე-16-ედ მოიგეს "ქართული ოქრო". ვულოცავთ!

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა